

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდევნადი მოსარეაბილიტაციო სამსახურის განცხადება**

დღეს მოსალოდნელია ცვლებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვლებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდაში - რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 766 მილიმეტრი. მომდევნო 2 დღეს ზოგან მოსალოდნელია ღამით წვიმა, მთაში - თოვა.

## პირილონი

2023 წლის თებერვალში ევროკომისია დაიწყო ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მხრივ საქართველოს პროგრესის შეფასებას. ვიტყვებ იმდენს, საქართველოს ძალისხმევა ამჟამად სათანადოდ დაფასდება და ევროკავშირი მოგვანიჭებს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშისა და 2023 წლის სამოქმედო გეგმის წარდგენისას. მისი თქმით, საქართველოს უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტებია, რომლებიც 2023 წელს პარლამენტის დღის წესრიგს განსაზღვრავს.

ტერმინი „პოლარიზაცია“ არ გამოხატავს სათანადოდ იმ მოცემულობას, რომელიც საქართველოშია. სინამდვილეში პრობლემა არის არა პოლარიზაცია, არამედ რადიკალიზმი, რომელიც ავტორიტეტის ერთი ნაწილი ბოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობს, - განაცხადა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ. მისი თქმით, ავტორიტეტურად ყველა ქვეყანაშია პოლარიზაციის მაღალი ხარისხი. „აშშ-ში არის პოლარიზაციის უბრალოდ მაღალი ხარისხი. არის უამრავი ევროპული ქვეყანა, სადაც პოლიტიკური პარტიები ელემენტარულად ერთმანეთს არ ელაპარაკებიან. ასეთ პირობებში ჩვენთვის რაღაც საყვედურის თქმა და ასე ქვეყნის ბრენდირება არის ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება“, - განაცხადა კობახიძემ.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის Akerman LLP-ის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს, საიდანაც ირკვევა, რომ ლობისტურმა ჯგუფმა სამედიცინო ექსპერტებს დასკვნების სანაცვლოდ 284 784 აშშ დოლარი გადაუხადა. გავრცელებულ ინფორმაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ადვოკატი მასიმო დიანჯელი 2022 წლის ივლისიდან მუშაობს სააკაშვილის ლობისტად, რაშიც ჯამში მისმა კომპანიამ 917,177.44 აშშ დოლარი მიიღო. კონტრაქტს ექსპრეზიდენტის დედა გიული ალასანია აწერს ხელს.

პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო საქმიანობაზე უარს ამბობს. მათ მანდატები არ დაუტოვებიათ, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში კანონშემოქმედებითი საქმიანობის გავრცელებას არ ამბობენ. კოლეგებს პროტესტში „სტრატეგია აღმაშენებელი“ და დამოუკიდებელი დეპუტატი თაკო ჩარკვიანიც შეუერთდნენ. ბოიკოტის იდეას პარტიის ყოფილ თავმჯდომარე ნიკა მელიას გუნდი არ იზიარებს.

## თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა გაიზარდა

მარიამ ხოთაბაშვილი 27 48 93

თურქეთში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი, გუშინდელი მონაცემებით, 8 574-ია, ხოლო სირიაში - 2 662. დაზარალებულია 40 ათასი ადგილობრივი. თურქეთის საგანგებო სიტუაციების სამმართველოს ინფორმაციით, დანგრეულია 6 ათასამდე შენობა. 8 თებერვლიდან ძალაშია რეკე ტაიპ ეროლოანის ბრძანება სტიქიური უბედურების ზონაში - 10 პროვინციაში 3 თვით საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ. იგი სტიქიის ზონაში ჩავიდა, რათა ადგილზე გაცნობოდა სამძებრო-სამაშველო ოპერაციების მიმდინარეობას.

მიწისძვრით დაზარალებულ რეგიონში მთელი მსოფლიოდან მასშველთა გუნდები ჩადის. საქართველოდან თურქეთში დამატებით კიდევ 40 მასშველი გაემგზავრა. თურქულ მედიაში ქართველი მეხანძრე-მასშველების მიერ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულის გადარჩენის შესახებ სტატიები გამოქვეყნდა.

ქართველმა მეხანძრე-მასშველებმა ნანგრევებიდან ახალგაზრდა ქალი ცოცხალი ამოიყვანეს. საქართველო თურქეთის დასახმარებლად დამატებით კიდევ 40 მეხანძრე-მასშველს აგზავნის, - ასე ეხმაურებიან წამყვანი თურქული მედიასაშუალებები სტიქიის ზონაში ქართველი მასშველების სამძებრო სამუშაოებში მონაწილეობას. „ქართველი მეხანძრე-მასშველები თურქეთში, სტიქიის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ და ადამიანები ახალგაზრდა ქალი ნანგრევებიდან ცოცხალი ამოიყვანეს“, - წერს ერთ-ერთი თურქული მედია. საქართველომ თურქეთის დასახმარებლად სულ 100 მეხანძრე-მასშველი გაგზავნა.

თურქეთში გაემგზავრა უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამსახურის მასშველთა ჯგუფიც. იგი მონაწილეობს მიიღებს გამანადგურებელი მიწისძვრის შემდეგ სამძებრო და აღდგენით სამუშაოებში. უკრაინის სახელმწიფო უწყების 87 თანამშრომელს შორის არიან სამძებრო-სამაშველო ოპერაციების სპეციალისტები, ექიმები, მასშველი ძალები და მეხანძრეები. სამაშველო ჯგუფთან ერთად უკრაინა თურქეთში სპეციალურ აღჭურვილობას, გენერატორებს, კარებს და სხვა საჭირო მასალასაც აგზავნის.

თურქეთში მასშველები და ჰუმანიტარული დახმარება სომხეთშიც გაგზავნა. ინფორმაციას სომხური მედია ავრცელებს. თურქეთის პარლამენტის ეროვნული სომეხ დეპუტატ კარო პილიანის განცხადებით, სომხეთიდან გაგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი და მასშველები უკვე თურქეთში არიან. მანამდე ცნობილი გახდა, რომ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა თურქეთის პრეზიდენტ რეკე ტაიპ ეროლოანს



თან სატელეფონო საუბარი გამართა და დახმარება შესთავაზა. სომხური მედიის ცნობით, ეროლოანმა სომხეთის პრემიერ-მინისტრს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

თურქეთის შტატის პროვინციაში საავადმყოფოების წინ მიწისძვრის შედეგად დაღუპული ასამდე ადამიანის ცხედარი ასვენია, ზოგს საბანი და შეწარა აფარია, ზოგიც სპეციალურ ტომბებშია მოთავსებული. გადარჩენილები დაკარგული ოჯახის წევრებისა და ახლობლების ამოცნობას ცდილობენ. სამხრეთ ქალაქ კაპრამანმარასში, სადაც მიწისძვრის ეპიცენტრი იყო, გარდაცვლილთა ცხედრები სპორტულ დარბაზშია დასვენებული. აქაც მიმდინარეობს მათი ამოცნობის პროცედურა.

მესამე დღეა მასშველები მიწისძვრის ეპიცენტრში მდებარე ზოგიერთ დაზარალებულ რაიონშიც მიღწევას ცდილობენ. პროცესი გართულებულია განადგურებული მისასვლელი გზების, ცუდი ამინდის, რესურსებისა და მძიმე აღჭურვილობის ნაკლებობის გამო.

თურქეთში საქართველოს ელჩ გიორგი ჯანჯავას ინფორმაციით, 8 თებერვლის დღის მონაცემებით, ნაპოვნია საქართველოს 4 მოქალაქე იმდენი, ვინც დაკარგულად მიიჩნეოდა. მისივე ცნობით, ისინი უსაფრთხოდ იმყოფებიან და თავს კარგად გრძობენ. ამ დროისთვის დაღუპულია საქართველოს ორი მოქალაქე, ორი კი დაკარგულად ითვლება.

## საკონსულტო სამსახურის წიგნი გაიხსნა

მარიამ ხაბაიძე 514 22 22 80

თურქეთში მომხდარი უდიდესი ტრაგედიის გამო, ბათუმში, თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ საკონსულტო, სამძიმრის წიგნი გაიხსნა.



ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა, მომხდართან დაკავშირებით ღრმა მწუხარება გამოთქვა და თანადგომა გამოუცხადა თურქ ხალხს: „თურქეთში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც უამრავი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა, მთელი საქართველო შეტრა. სამძიმარი მინდა გამოვუცხადო თურქ ხალხს, რომელიც ამ უდიდესი განსაცდელის უამს თითოეული ჩვენგანის მხარევე დატოვა აჭარის მთავრობის თანადგომის მიზნით.“

გმგომარე თორნიკე რიჟვაძემ და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტყარაძემ. მინისტრმა უდიდესი მწუხარება გამოთქვა მომხდარი ტრაგედიის გამო და თურქ ხალხს თანადგომა გამოუცხადა.



ISSN 2720-8702

9 772720 870003

### გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»! ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.



# რომელი კომპანია ააშენებს კორპუსს, რომლის 26 მაისის ქუჩაზე ჩამოინდობრა?

მატიანე ხოთარაშვილი 27 48 93

ბათუმის მერიის საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს 78-მილიონიან ტენდერში შპს „ანაგმა“ გაიმარჯვა. ხელშეკრულება ჯერ გაფორმებული არ არის, თუმცა სამმართველოს შესყიდვების კომისიის ოქმში დაფიქსირებულია, რომ გამარჯვებული უკვე გამოვლინდა

შესყიდვის საწყისი ღირებულება 78 მილიონ 589 607 ლარი იყო, შპს „ანაგმა“ მერიას სამუშაოს შესრულება ზუსტად იგივე ფასად შესთავაზა. რაც იმას ნიშნავს, რომ „ანაგმა“ ამ შემთხვევაში უკონკურენტო იყო და სხვა პრეტენდენტი არ დაფიქსირებულა.

შესყიდვის ფარგლებში გათვალისწინებულია: საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 26 მაისის ქუჩის 13 ნომერში - აქ კორპუსის სადარბაზოს ნაგებობა 9 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის, 3 ბავშვის. სახლის მშენებლობისთვის 8 მილიონ 015 860 ლარი გათვალისწინეს. ასევე, კახაბრის ქუჩაზე, 30 ნომერში მდებარე ავარიული სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა - პროექტის საწყისი ღირებულება 15 მილიონ 926 420 ლარია (ტენდერის შემდეგ შესაძლოა შემცირდეს). ხიმშიაშვილის 94/96-ში ავარიული სახლის დემონტაჟი და ახალი სახლის მშენებლობა - პროექტისთვის მერიას 21 მილიონ 550 123 ლარი აქვს გათვალისწინებული.

გამში, ავარიული სახლების პროგრამის ფარგლებში, მერია 45 მილიონ 492 403 ათას ლარ



ის დახარჯვას გეგმავს.

გარდა ამისა, ბათუმის მერია იმავე დაფინანსების ფარგლებში, ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვას გეგმავს. პროექტის ღირებულება 33 მილიონ 097 204 ლარია.

საქალაქო სამმართველოს უფროსმა აკაკი ბერიძემ ოთხი პროექტის გაერთიანების იდეა შემსრულებლის კომპანიისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების გაზრდის საჭიროებით ახსნა.

- სამმართველოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაცია, რომელიც აიღებს ამ პასუხისმგებლობას, იყოს ავტორიტეტული და მაღალი რეპუტაციით სარგებლობდეს, - ამბობს აკაკი ბერიძე.

საკრებულოს ობოზიცია კი აცხადებდა, რომ მერია ტენდერი კონკრეტულ კომპანიას მოარგო და ეს კორუფციაა. პროექტების შესრულების სამუშაოების ერთიანად შესყიდვის იდეას საკრებულოს უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

## ბადრი ესებუა დაკავებულია

ნანა აბულაძე 577 20 35 90

2-წლიანი ძებნის შემდეგ ბადრი ესებუა დააკავეს. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს

„სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და განსაკუთრებული დავალებათა დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იძულების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვა-ტარების, ასევე, ტერორისტული აქტის და ტერორისტული მიზნით მოქალაქეების მიქველად ხელში ჩაგდებას ფაქტებზე 2020 წლიდან ძებნილი ბ.ე. სამეგრელოში დააკავეს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში. შს-ის ცნობით, ბადრი ესებუა დაკავების ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები.



ბეჭის შედეგად, იძულების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვა-

შეგახსენებთ, ბადრი ესებუა ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“

ერთ-ერთ ფილიალში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიჭრა და 43 ადამიანი აიყვანა მძევლად. მან მოლაპარაკების შემდეგ მძევლების დიდი ნაწილი გაათავისუფლა და 500 ათასი დოლარით, სამ მძევალთან და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორთან ერთად დატოვა ბანკის შენობა.

აღნიშნულის შემდეგ არაერთი ინფორმაცია ვრცელდებოდა ბადრი ესებუას ადგილსამყოფელის შესახებ, მათ შორის იყო ვარაუდიც, რომ ის აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

## მწერალი - მებოგარსა და მის კუთხეზე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წუთისოვლიდან მოულოდნელად წასულ პროფესორს, ქართული ენის უბადლო მეხოტბეს, პოლიტიკოს ტარიელ ფუტყარაძესა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორს, მწერალ გიორგი სოსიაშვილს ერთ-ერთი საქმეები და მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდათ. ტარიელის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გიორგის დაწერილი მოთხრობა ამის გამოძახილი იყო.

აჭარაზე, აქაურებზე უსაზღვროდ შეყვარებული მწერალი თავის მონაგარს ახალ-ახალი ნაწარმოებებით ამდიდრებს. დასტურად ახლანაა გამოცემული პროზაული კრებული „აილიები“ საკმარისია.

მწერალ გიორგი სოსიაშვილის პროზაული კრებული „აილიები“ წარდგინებას საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უმასპინძლა. ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, მწერალმა გიორგი ცეკელიძემ მიმოიხილა გიორგი სოსიაშვილის როგორც საგანმანათლებლო და სამეცნიერო, ასევე სამწერლო მოღვაწეობა. ისაუბრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებულ მუშაობაზე როგორც შიდა ქართლის რეგიონისთვის, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე კულტურული პროცესების განვითარების მიმართულებით.

კრებულ „აილიების“ რედაქტორმა, ლიტერატურათმცოდნე და პოეტმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელერმა, პროფესორმა გიორგი ხორბალაძემ ისაუბრა ავტორის სამწერლო ენაზე და ერთმანეთისგან განსხვავებული მოთხრობების იმ არქეტიპულ საერთო ნიშნულებზე, რაც ახალ წიგნს გამოარჩევს სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებისგან.

გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებების, მისი საზოგადოებრივი და მეცნიერული საქმიანობის შესახებ ისაუბრეს ფოლკლორისტიკა და პოეტმა ეთერ თათარიაძემ, მწერალმა მიხო მოსულიშვილმა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მრჩეველმა, პროფესორმა იოსებ ჭუმბურიძემ და სხვებმა.

ღონისძიების ბოლოს გიორგი სოსიაშვილმა დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა მისი კრებულის წარდგინებას და საქმიანობის შეფასებისთვის. ამასთან, მიანიშნა იმ წინაპირობებზე, რამაც ერთგვარი ბიძგი მისცა აღნიშნულ კრებულში შემაგალი მოთხრობების დაწერასა და სამწერლო გამოტანას.

ისიც გაიხსენა თუ რა ურთიერთობები აკავშირებდა ტარიელ ფუტყარაძესთან, ხაზი გაუსვა, მეგობრის მშობლიურ კუთხეს როგორ ეყვარება.

ღონისძიებას პოეტი ქეთი ჯოღობორდი უძღვებოდა.



ოებებით ამდიდრებს. დასტურად ახლანაა გამოცემული პროზაული კრებული „აილიები“ საკმარისია.

# თურქეთის მინისტრთა კაბინეტის დაზარალებულთათვის ბათუმში დახმარებას ახრუვებენ

მატიანე ხოთარაშვილი 27 48 93

თურქეთში, კაპრამანნარაში მომხდარი დამატარებელი მიწისძვრის დაზარალებულთათვის ბათუმში დახმარება რამდენიმე ადგილას გროვდება. ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვებას ბათუმში ორგანიზებას უწევს „ლელოს“ ბათუმის ოფისი. დახმარება გროვდება ასევე ბათუმის ახალ მერეთში

გუშინ, 7 თებერვალს, თურქეთის საელჩომ გამოაქვეყნა იმ ნივთების ჩამონათვალი, რომლებიც დაზარალებულ რეგიონებში მცხოვრებლებს სჭირდებათ. სასურველია, თუ შეწირული ნივთები იქნება ახალი, ზამთრის პირობებისთვის შესაფერისი და ღია პაკეტში მოთავსებული. თბილი ტანსაცმლის გარდა, გროვდება საძილე

ტომრები, საკვები ანაწი (მშრალი და დაკონსერვებული საკვები), ბავშვთა კვება, ბავშვის საფენები, დასუფთავებისა და ჰიგიენის საშუალებები. დახმარების მსურველებმა ნივთები უნდა მიიტანონ ბათუმში, პარტია „ლელოს“ ოფისში. მისამართი: ფარნავაზ მეფის №46 ან ბათუმის ახალ მერეთში. მისამართი: გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა №49.

ბათუმში თურქეთის გენერალურმა საკონსულუმო გამოაქვეყნა ის მისამართები, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია თანხა გადაიტანოს და ამ გზით დაეხმაროს სტიქიის ზონაში უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს. საკონსულოს ინფორმაციით, დონაცია შესაძლებელია თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციებ-



ის მართვის სამსახურის AFAD-ის და რელიგიურ საქმეთა სამმართველოს ოფიციალური ვებგვერდიდან.

## მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიცია - „დავით აღმაშენებელი“

ვლანტინე ცაბაძე 27 48 93

შუახევში ქართველი მეფეთა მეფის დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მისი ცხოვრების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიპეტეხები მიმოიხილეს ისტორიკოსმა, პოეტმა ფრიდონ დავითაძემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაძემ, ბიბლიოთეკარმა მერი თავდგირაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძემ, მერის მოადგილე რუსუდან შავაძემ, შუახევის საჯარო სკოლის დირექტორმა მზია გოგაძემ.

მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკების აქტიურმა მკითხველებმა დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს. დიდ მეფეს საკუთარი ნოველა და ლექსი მიუძღვნეს უჩამბის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლინდა და ანრი მუთიძეებმა.



მწერალი, 10-ზე მეტი წიგნის ავტორი მიხეილ დავითაძე წლებია, საზოგადოებრივ-შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. ღონისძიებაზე მას დახმარების დღე მიულოცეს და მადლობის სიტყვები

გადასცეს. დამსწრეთ აჩვენეს დავით აღმაშენებლის მეფობისა და ბრძოლების ამსახველი ვიდეოკლასი.

ღონისძიებას პოეტი ქეთი ჯოღობორდი უძღვებოდა.



# ქალთმშენებელი ჩაქარბული მასწავლებელი და ყურადღების მიღმა დარჩენილი ბავშვი...

6666 აბუღამი 577 20 35 90

დღეს განათლების სისტემაში არსებულ რამდენიმე გამოწვევაზე ვაგაზიანებთ ყურადღებას. მოგიკვებით პრობლემებზე, რომლებიც ამ მიმართულებით როგორც მაღალმთიან რაიონებში, ასევე ქალაქში იჩენს თავს

მოგესხენებით, მასწავლებლებს სტატუსის ასამაღლებლად, გარდა საგნის გამოცდისა, უწევთ სამინისტროსთვის პრაქტიკული საქმიანობის დოკუმენტის წარდგენა, რაც არაერთ აქტივობას გულისხმობს. მათ გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგები, აღებული ჰქონდეთ არაერთი სერტიფიკატი. მასწავლებლის ყოველდღიურობა ერთგვარ „სერტიფიკატომაინად“, „ქაღალდომაინად“ იქცა. ის ჩაკარგულია „ქაღალდებში“, ამასობაში კი სკოლის მთავარი საზრუნავი - ბავშვი დარჩა ყურადღების მიღმა. აღნიშნულ თემსთან დაკავშირებით მასწავლებელთა პეტიციაც შედგა, სადაც ითხოვენ, პირდაპირ მიენიჭოს სტატუსი მათ, ვინც პროფესიული უნარების გამოცდა ჩააბარა. ნაწილი აპირებს პრემიერ-მინისტრის სახელზე წერილის გაგზავნას, სადაც მოითხოვს, პედაგოგის კარიერული წინსვლის სქემა უფრო მოქნილი გახდეს, ხოლო პორტფოლით კარიერული წინსვლის ალტერნატივად განიხილოს.



**|| იმისთვის, რომ თავი სკოლას მივუძღვნა და სხვა აღარაფერზე ვიფიქრო, საჭიროა შესაბამისი ანაზღაურება. სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვა, მყავს სტუდენტი, აბიტურიენტი, სკოლის და ბაღის ასაკის შვილები. რამდენი რამ სჭირდებათ, ვერ წარმოიდგენთ. ჩემნაირი მასწავლებლები იძულებულნი არიან, სკოლიდან სკოლაში იარონ...**

დღედა დღე იოჯახის რძალი ვარ... ხშირია კონფლიქტიც ამის გამო. ძალიან რთულია, სოფელში ცხოვრობდე, მუშაობდე სკოლაში, უვლიდე ოჯახს, შვილებს და მუდმივად ზრუნავდე თვითგანვითარებაზე. ორი წლის წინ ჩავგრეთეს ახალი სკოლის მოედლში. ქალბატონი მაია მენაბდე გვიტარებდა კომპლექსური დავალებების შესახებ ონლაინტრენინგს. ამ დროს მე კარტოფილს ვთოხნიდი და ისე ვუსმენდი. როგორ ფიქრობთ, გავიზარებდი, რასაც საუბრობდა? მეტყვი - მასწავლებელი, რატომ არ დაბრძანდი მშვიდად, ოთახში, სამუშაო მაგიდასთან და ისე არ მოისმინე ეს მარადიული და ყბადაღებული თემა კომპლექსური დავების შესახებ? რატომ არ დაიხებებო მკვიდრი წარმოდგენები, სამიზნე ცნებები და საკვანძო შეიკვებები, რატომ არ იცი, რა არის მატრიცა და კურიკულუმი? გიპასუხებ: იმისთვის, რომ თავი სკოლას მივუძღვნა და სხვა აღარაფერზე ვიფიქრო, საჭიროა შესაბამისი ანაზღაურება. სხვა დანარჩენზე რომ აღარაფერი ვთქვა, მყავს სტუდენტი, აბიტურიენტი, სკოლის და ბაღის ასაკის შვილები. რამდენი რამ სჭირდებათ, ვერ წარმოიდგენთ. ჩემნაირი მასწავლებლები იძულებულნი არიან, სკოლიდან სკოლაში იარონ, საკუთარი ჯანმრთელობის, გადაღლისა და გამოფიტვის ხარჯზე იმუშაონ დამატებით და ისე მიიტანონ პური ოჯახში. დარჩა სკოლა და ბავშვები ამ ფონზე გარყვნილი. გადაღლილი მასწავლებელი, პრობლემებითა და ფიქრით დახუნძლული ტვინით, ვეღარ ასწრებს მოსწავლელი ინფორმაციის დახარისხებას და გაზრებას, ვეღარ ვახერხებთ საგაკვეთილო პროცესზე ისე რეალიზებას, როგორც 10 წლის წინ. ახლა ჩავფლურებ ვართ ქალაქებსა და ონლაინტრენინგებში იმისთვის, რომ ავიღოთ სერტიფიკატი და ჩავდოთ პორტფოლიოში, - გვითხრა ნათელა იაკობაძემ.

ალმთიანი რაიონის საჯარო სკოლის მასწავლებელი. განათლების სისტემაში დარჩილი პრობლემებზე, არსებულ არაერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე ვაზრუნვარ „აქარასთან“ ისაუბრა ასოცირებული პროფესორმა, ფილოსოფიის დოქტორმა **ლალი ანთიმია**. - განათლების სისტემაში ბევრი პრობლემაა დაგროვილი, მასწავლებლის საკითხი კი ერთ-ერთი ფუნდამენტურია. სასკოლო ბიუროკრატია უზარმაზარ დროსა და რესურსს ითხოვს. სისტემა მასწავლებლებს უამრავ ფორმალურ ვალდებულებას აკისრებს, რომელთა დაკმაყოფილება კლავს შემოქმედებით პროცესს და განვითარების ნაცვლად, სტანდარტებს დაქვემდებარებულ მართვას ვიძლევა. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია მასწავლებელთა ორ კატეგორიად დაყოფა: მასწავლებელი და „მასწავლებელი“ - ანუ ადამიანი, ვინც მასწავლებლად მუშაობს. მასწავლებლობა შემოქმედებითი პროცესია. გარდა საკუთარი საგნის ვიზუალურად წარმოდგენისა, მას უნდა ჰქონდეს განვითარებული მთელი რიგი პიროვნული უნარი: მორალი,



**|| მასწავლებლებს, რომლებსაც მართლა სურთ თვითგანვითარება, ისეთი ბიუროკრატია ხვდებათ სკოლაში, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რამე ღირებული გააკეთონ. თანამედროვე მასწავლებლებისათვის ტრენინგების გაგლის თემა მგონია ყველაზე დიდი პრობლემა. მაშინ, როცა ისინი პარალელურად, რამდენიმე ინსტიტუციაში მუშაობენ, ბუნებრივია, ვერ ახერხებენ თვითგანვითარებაზე ზრუნვასა და ფიქრს**

ლაზე დიდი პრობლემაა. მაშინ, როცა ისინი პარალელურად, რამდენიმე ინსტიტუციაში მუშაობენ, ბუნებრივია, ვერ ახერხებენ თვითგანვითარებაზე ზრუნვასა და ფიქრს. როგორც კი თავად მასწავლებელი

შეწყვეტს სწავლის პროცესს და თვითგანვითარებაზე ორიენტირებას, იმ წუთიდან მთავრდება ყველაფერი, კვდება შემოქმედებითი პროცესიც. ბავშვთან მუშაობა, პირველ რიგში, ეს არის საკუთარ თავზე მუშაობა, და თუკი ეს ვერ ხერხდება, სჯობს, საერთოდ არ იყო მასწავლებელი. იცით, რა არის ჩვენი პრობლემა? ის, რომ ვცდილობთ სემინტური პრობლემების მოგვარებას, რაც შეუძლებელია. მთლიანად სისტემის გადაზრება არის საჭირო, განათლების სისტემა უნდა შეიცვალოს. ეს არის უპირველესად გასაკეთებელი, რადგან მას, ვისაც მართლა უნდა მასწავლებლობა, ბავშვებთან მუშაობა, სახლეების არ ეშინია, მეთოდებს ფლობს და ინტელექტუალური რესურსიც აქვს, სისტემა ბლოკავს. ერთ-ერთ პრობლემად მიმაჩნია ის, რომ დღეს მასწავლებელი მუშაობს 30-35-მოსწავლიან კლასებთან, რომელსაც არ აქვს არანაირი მატერიალური ბაზა, საჭირო აღჭურვილობა. ისეთი ინფრასტრუქტურის პირობებში, რაც დღეს სკოლაშია, შეუძლებელია, მასწავლებელმა მოახერხოს სრულყოფილი საგაკვეთილო პროცესის ჩატარება. ბავშვი საერთოდ დარჩენილია ყურადღების მიღმა. სამწუხაროდ, არც მასწავლებელს აინტერესებს ეს გარემოება (არც ერთი მოქმედი მასწავლებელი და არც ერთი სკოლის ადმინისტრაცია არ საუბრობს ამ პრობლემაზე), არც სკოლას და არც სისტემას. სწავლის თვალსაზრისით, თუ რომელიმე სკოლაში ნორმალური ვითარებაა, იქ მშობლები მუშაობენ კარგად. ანუ, ფინანსებს, საკუთარ კაპიტალს დებენ იმაში, რომ რაღაც შედეგი მიიღონ. საბოლოოდ გამოდის, რომ მოტივირებულ მასწავლებლებს პირობები არ აქვთ, ისინი კი, ვინც თავს კომფორტულად გრძობენ ამ სისტემაში, არაფერს აკეთებენ ბავშვებისთვის

შესაბამისი განათლების მისაცემად. ამ გარემოებაზე მიახიწებს საერთაშორისო კვლევების შედეგებიც, სადაც საქართველო პერიმანეტულად ბოლო ადგილებსკენ ინაცვლებს, - განაცხადა ლალი ანთიმია.

## ყაზახური ნავთობი - საქართველოს ბავლით

ზერბაიჯანული საგენტო Report-ის ინფორმაციით ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია „ყაზმუნაიგაზი“ მიმდინარე თვეში კომპანია Tengizchevroil-ის რესურსებიდან ნავთობის ექსპორტს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (ბთჯ) ნავთობსადენით დაიწყებს, რამაც შესაძლოა, თებერვლიდან 120 ათას ტონას მიაღწეოს. ერთ-ერთი წყარო აცხადებს, რომ პირველ ეტაპზე ჯეიჰანიდან თვეში Azeri BTC-ის ნავთობის თითო პარტიის გატანა იგეგმება, რაც შემდეგ ორ პარტიამდე გაიზარდება. ყაზახეთის ნავთობი ბოქსის მილსადენს შერეული გზით მიეწოდება. კერძოდ, მარშრუტის ნაწილი რკინიგზას, ნაწილი კი კასპიის ზღვით ტრანსპორტირებას მოიცავს, სადაც ნედლეული აქტაუს პორტიდან მცირე ტანკერებით ჯერ ბაქოს მიეწოდება. შემდეგ კი ბოქსის მილსადენში იტვირთება. აღსანიშნავია, რომ Tengizchevroil-ის ნედლეულის ექსპორტი 2015 წლამდე სწორედ ბოქსის მილსადენით ხდებოდა. ყაზახეთი ამ გზით წელს 1,5 მილიონ ტონა ნავთობის ექსპორტს გეგმავს, რაზეც „ყაზმუნაიგაზი“ მოლაპარაკებებს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია SOCAR-თან აწარმოებს, ხოლო სამომავლოდ ყაზახური მხარე ყოველწლიური მოცულობის 6-6,5 მილიონ ტონამდე გაზრდას განიხილავს, თუმცა ამჟამად ყაზახური ნავთობის ექსპორტი კასპიის ზღვით შეზღუდულია, რადგან აქტაუს პორტის წლიური სიმძლავრე 5,5 მილიონ ტონას შეადგენს, საიდანაც დაახლოებით 2,1 მილიონ ტონას მანაჩალაში, შემდეგ კი ნავთობსადენით ნოვოროსისკში იგზავნება. ტრანსკასპიური გადაზიდვის კიდევ ერთი პრობლემა ტონაჟის დეფიციტი და ტანკერების მცირე ფლ-

ოტია. ტრანსკასპიური ტრანზიტის გასაზრდელად „ყაზმუნაიგაზმა“ იანვარში არაბეთის გაერთიანებული საემიროების Abu Dhabi Ports Company-სთან (ADP) სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება გააფორმა, რომლის ფარგლებში მხარეები გეგმავენ ტანკერების ფლოტის შექმნას ყაზახური ნავთობის ექსპორტის აღტრინატიული მარშრუტების გათვალისწინებით, რაშიც მთავარ მარშრუტად აქტაუს გავლით აზერბაიჯან-საქართველოს მიმართულება სახელდება. Tengizchevroil-ის მთავარი აქციონერები ამერიკული Chevron (50%), Exxon Mobil (25%), „ყაზმუნაიგაზი“ (20%) და „ლუკოილი“ (5%) არიან. იანვარში სააგენტო Reuters-ი წერდა, რომ Tengizchevroil-ის ნედლეულის ექსპორტს ბათუმის პორტის გავლით გაზრდის, რაც იანვარ-თებერვალში 150 ათას ტონას მიაღწევს, ხოლო მარშან ბათუმის პორტის გავლით Tengizchevroil-ის ყოველთვიურმა ექსპორტმა საშუალოდ 21 ათასი ტონა, მთლიანმა მოცულობამ კი 252 510 ტონა შეადგინა. სააგენტოს შეფასებით, Tengizchevroil-ის მთავარი საექსპორტო მარშრუტი კასპიის მილსადენის კონსორციუმია, რომლის ბოლო წერტილიც ნოვოროსისკის მიმდებარე რუსეთის საზღვაო ტერმინალი „იუსუნია ოზერევეკაა“, თუმცა ყაზახური კომპანია „ალტერნატივის ექსპრესი“, რომელიც მსოფლიო ევროპული სანქციების წარმოქმნილი ნებისმიერი რისკი თავიდან აიცილოს“. Reuters-ის ცნობით, ბათუმის ტერმინალის მფლობელი ყაზახეთის მილსადენის ოპერატორი კომპანია Kaztransoil-ია, რომელსაც, ასევე, აქტაუს ნავთობტერმინალი ეკუთვნის.

ამირან ბურიძე







